



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 22 აპრილის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.11
სხდომის დაწყების დრო: 18:00

დისტანციურ სხდომაში (Webex პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე
აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ
კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, მამუკა ნოზაძე, დათუნა მოდებაძე, ციციწო
ცხვედიანი და გიორგი თევზაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ კახიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია,
რომ განმცხადებელმა ადვოკატთა ასოციაციას გაწევრიანების შესახებ განცხადებით
მომართა 2018 წლის 24 დეკემბერს. აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის
გადაწყვეტილებით შეჩერდა მარიამ კახიძის განცხადების განხილვა და მას დაევალა
დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა ადვოკატთა ასოციაციაში
გაწევრიანებისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

განმცხადებელმა 2021 წლის 11 მარტს წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები,
რომლითაც დასტურდება, რომ იგი აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“

საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მოთხოვნებს იურისტად მუშაობის არანაკლებ 1 წლიან სტაჟთან მიმართებით.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ კახიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

(ბ) გრიშა კოპალიანის, ეკატერინე მუზაშვილის, ლაშა ნოზაძის, მარიამ ცინცაძის, გვანცა სებისკვერადის, ინეზა შენგელიას, ვახტანგ მთიულიშვილის, დავით საყვარელიძის, გიორგი ძოწენიძის, ლალი სალუქვაძის, კესარია ჩახაიას, რევაზ მამაცაშვილის, ომარ ფურცელაძის, ნათია ჯანგველაძის, მარიამ პატარიძის, თეონა გოგლიჩაძის, ირაკლი წიკლაურის, ევა ქარჩხაძის, ნატო ვანიშვილის და ქეთი წიწუაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გრიშა კოპალიანის, ეკატერინე მუზაშვილის, ლაშა ნოზაძის, მარიამ ცინცაძის, გვანცა სებისკვერადის, ინეზა შენგელიას, ვახტანგ მთიულიშვილის, დავით საყვარელიძის, გიორგი ძოწენიძის, ლალი სალუქვაძის, კესარია ჩახაიას, რევაზ მამაცაშვილის, ომარ ფურცელაძის, ნათია ჯანგველაძის, მარიამ პატარიძის, თეონა გოგლიჩაძის, ირაკლი წიკლაურის, ევა ქარჩხაძის, ნატო ვანიშვილის და ქეთი წიწუაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

(ა) წევრები გაეცნენ ჯილდა დოელინგის, ანა მურცხვალაძის, ტოგო უჩაიძის, გიორგი ცერცვაძის, ნუგზარ სარალიძის, და გიორგი ფანცხავას განცხადებებს

ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ჯილდა დოელლინგის, ანა მურცხვალაძის, ტოგო უჩაიძის, გიორგი ცერცვაძის, ნუგზარ სარალიძის, და გიორგი ფანცხავას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრები გაეცნენ ფატიმა შედანიას განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ფატიმა შედანიამ დავალიანებით შეიჩერა უფლებამოსილება 2018 წელს. 2019 წლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ფატიმა შედანიას შეუწყდა ასოციაციის წევრობა 2017 და 2018 წლის საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო. წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ფატიმა შედანია სარგებლობს 50%-იანი საწევრო შეღავათით და მისი დავალიანება შეადგენს 200 ლარს (2017 და 2018 წლების საწევრო). ფატიმა შედანიამ გადაიხადა საწევრო დავალიანების ნაწილი 100 ლარი და ითხოვა დარჩენილი დავალიანებისგან გათავისუფლება ან გარკვეული ვადით გადავადება. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ფატიმა შედანიას მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.
- სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ფატიმა შედანიას განცხადება საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ.
- ფატიმა შედანიას განცხადება საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე შემოსულ განცხადებებთან ერთად.

(გ) წევრები გაეცნენ ეკატერინე ბერინაშვილის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ეკატერინე ბერინაშვილს ასოციაციის წევრობა შეუწყდა 2021 წლის 1-ელ თებერვალს, 2020 წლის საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო. განმცხადებელი განცხადებაში

აღნიშნავს, რომ იგი არის ონკო პაციენტი და ამ ეტაპზე ვერ შეძლო საწევრო დავალიანების გადახდა, შესაბამისად ითხოვს გარკვეულ დროს 2020 წლის საწევრო დავალიანების გადახდისათვის. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ეკატერინე ბერინაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.
- ეკატერინე ბერინაშვილის განცხადება საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე შემოსულ განცხადებებთან ერთად.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ლიანა მოდებაძის, მათა ბოდაველის და საწევრო დავალიანების მქონე წევრის - ნატა ბერაიას განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება

წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ნატა ბერაიას ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოს იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიულ ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებული განმცხადებლებისთვის ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსის მინიჭება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2021 წლის 26 თებერვლიდან - 8 აპრილის ჩათვლით, პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე დარეგისტრირდა 285 პირი.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-5 მუხლის, 5.7 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას, რომელიც შესაბამისობაშია ფორმალურ მოთხოვნებთან, ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო და სიაში შეტანილ პირს ენიჭება ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე რეგისტრირებულ განმცხადებელთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და განმცხადებლებს მიენიჭოთ ადაპტაციის პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი N1).

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - თამარ ფუტკარაძის, გიორგი ლეკიშვილის, ლამარა ზაალიშვილის, ირაკლი ცანკაშვილის, ვახტანგ აბესაძის, ზაკური ცირამუას და გიორგი ინაურის განაცხადებს თანდართული ბიოგრაფიებით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად თამარ ფუტკარაძის, გიორგი ლეკიშვილის, ლამარა ზაალიშვილის, ირაკლი ცანკაშვილის, ვახტანგ აბესაძის, ზაკური ცირამუას და გიორგი ინაურის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის დამატებითი ლექტორობის კანდიდატის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერის - გიორგი ახალკაცის კანდიდატურასა და მის ბიოგრაფიას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-7 მუხლის, 7.1 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის ტრენერის - გიორგი ახალკაცის კანდიდატურა.

საკითხი 7. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2021 წლის საგაზაფხულო სესიისთვის საგამოცდო პროგრამის დამტკიცება.

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს წარუდგინა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2021 წლის საგაზაფხულო სესიისთვის საგამოცდო პროგრამა.

წევრები გაეცნენ საგამოცდო პროგრამა, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2021 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

საკითხი 8. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2021 წლის საგაზაფხულო სესიის საგამოცდო თარიღების განსაზღვრა და დამტკიცება.

ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2021 წლის საგაზაფხულო სესიის საგამოცდო თარიღების შესახებ. აღმასრულებელი მდივნის განმარტებით საგამოცდო თარიღები შეთანხმებულია საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან. შემოთავაზებულ იქნა შემდეგი საგამოცდო თარიღები - 2021 წლის 23, 26, 27, 28, 29 და 30 ივლისი.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, 2021 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის შემოთავაზებული თარიღები განისაზღვროს სავარაუდო თარიღებად.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2021 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების სავარაუდო თარიღებად დამტკიცდეს 2021 წლის 23, 26, 27, 28, 29 და 30 ივლისი.

საკითხი 9. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ექსპერტთა ჯგუფის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის განახლებულ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ექსპერტთა ჯგუფის განახლებული შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

საკითხი 10. 2021 წლის საწევრო დავალიენების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღის განსაზღვრა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2021 წლის 22 აპრილის მდგომარეობით, 2021 წლის საწევრო დავალიანება უფიქსირდება ასოციაციის 3000-ზე მეტ წევრს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტით დადგენილი საწევროს გადახდის წესის თანახმად, 2021 წლის საწევროს გადახდის ვადა ამოიწურა 2020 წლის დეკემბერში და ამ ეტაპზე, მიზანშეწონილია, საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე, მოხდეს მათი ინფორმირება საწევრო დავალიანების გადახდის თაობაზე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა 2021 წლის 17 მაისი.

წევრების მხრიდან დაფიქსირდა პოზიცია, რომ რადგან ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, ასოციაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და სწორი ფინანსური პოლიტიკის გატარებისათვის, ასევე მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია წევრებმა დროულად უზრუნველყონ საწევრო დავალიანების გადახდა.

მსჯელობის შედეგად აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 17 მაისი.

(ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ დავალიანების მქონე წევრებს ეცნობოთ ასოციაციის ვებგვერდისა და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით.

საკითხი 11. აღმასრულებელი საბჭოს 11.06.2020 წლის გადაწყვეტილებით შექმნილი „ადვოკატთა ასოციაციის ოფისის მშენებლობის მიზნით სამშენებლო ღირებულების, ფასთა კვლევისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის დროებითი კომისიის“ მიერ საინჟინრო კომუნიკაციებისა და შიდა ინტერიერის მოწყობის მიზნით შერჩეული კომპანიის წინადადებისა და ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისის მშენებლობა მიმდინარეობს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული სამსახურის N5177185 ბრძანებისა და შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, განსაზღვრული პირობების და ვადების სრული დაცვით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ოფისის მშენებლობის შემდგომი

ეტაპი მოითხოვს საინჟინრო კომუნიკაციებისა და ოფისის შიდა ინტერიერის მოწყობის სამუშაოების განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით, ბაზრის კვლევის შედეგად მოძიებულ იქნა სხვადასხვა კომპანია, რომლებმაც წარმოადგინეს განაცხადები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

„სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ოფისის მშენებლობის მიზნით სამშენებლო ღირებულების, ფასთა კვლევისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის დროებითი კომისიის“ მიერ, 2021 წლის 20 აპრილს გამართულ სხდომაზე, დეტალურად იქნა შესწავლილი კომპანიების მიერ მოწოდებული განაცხადები, განხორციელებული პროექტები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი წინადადებებიდან ყველაზე დაბალი ფასისა და უკეთესი პირობების გათვალისწინებით, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადვოკატთა ასოციაციის ოფისის საინჟინრო კომუნიკაციებისა და შიდა ინტერიერის მოწყობის სამუშაოების შესრულებისათვის შერჩეულ იქნას კომპანია: შპს „CMD“ (ს/ნ 404995305).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, თავმჯდომარემ მიმართა წევრებს დროებითი კომისიის მიერ შერჩეულ კომპანიასთან, შპს „CMD“-ისთან (ს/ნ 404995305) ოფისის საინჟინრო კომუნიკაციებისა და შიდა ინტერიერის სამუშაოების განხორციელების მიზნით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტის “რ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) საინჟინრო კომუნიკაციებისა და ოფისის შიდა ინტერიერის მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით, გაფორმდეს ხელშეკრულება სამშენებლო კომპანია - შპს „CMD“-სთან (ს/ნ 404995305), აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

(ბ) ეთხოვოს ასოციაციის თავმჯდომარეს უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება;

(გ) ხელშეკრულების გაფორმების პროცესის კოორდინაცია დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს.

საკითხი 12. საიმპიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განხილვა და დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მიზნით, საჯაროდ, ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოცხადდა განცხადება, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ განცხადების გამოგზავნა.

საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა - თამთა დევდარიანმა წევრებს წარუდგინა შემოსული განცხადებები, თანდართული დოკუმენტებით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საიმიგრაციო სამართლის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 4).

საკითხი 13. ადვოკატ დიანა ლემონჯავას განცხადების განხილვა ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა გადადებულიყო შემდგომ სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატ დიანა ლემონჯავას განცხადების განხილვა გადაიდოს შემდგომ სხდომაზე.

საკითხი 14. საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაცია - LawAsia-ში გაწევრიანების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარე წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციაში - LawAsia - გაწევრიანება უფრო გააღრმავებს ადვოკატთა ასოციაციის ურთიერთობას აზიის სხვადასხვა ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებთან და აღნიშნული კარგი საკომუნიკაციო პლატფორმა იქნება როგორც ადვოკატთა ასოციაციისთვის, ასევე ასოციაციის წევრებისათვის ინდივიდუალურად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაცია - LawAsia-ში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 15. მარიამ უბერის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მარიამ უბერის განცხადებას. თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადვოკატ მარიამ უბერის განცხადებაში მითითებული გარემოებები ცდება აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას, შესაბამისად წარმოდგენილი განცხადების განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება უნდა დაევალოს სისხლის სამართლის კომიტეტს.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქეულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: მარიამ უბერის განცხადების განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება დაევალოს სისხლის სამართლის კომიტეტს.

საკითხი 16. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) გიორგი ბერიძის და ვლადიმერ ბუხრიკიძის დასაბუთებულ განცხადებებს, რომლითაც ისინი ითხოვდნენ სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლას და ახალი მენტორი ადვოკატის დანიშვნას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ბერიძის და ვლადიმერ ბუხრიკიძის განცხადებები და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

(ბ) თეიმურაზ კოკელაძის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა განმარტებას საადვოკატო ბიუროსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: თეიმურაზ კოკელაძის განცხადებაზე პასუხის მომზადება დაევალოს ასოციაციის აპარტს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე